სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში. მას ასევე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გახდეს ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტი ინოვაციების მიმართულებით. შესაბამისად, მისთვის უმნიშვნელოვანესია იმ ძირითადი პრინციპების განხორციელება, რომელსაც ევროპის ინოვატორი უნივერსიტეტები ნერგავენ. მათ შორის უმთავრესია:

- სწავლა- სწავლებისა და კვლევის ერთიანობა;
- შედეგებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებული რესურსების განაწილება, რომელიც კვლევებს დამატებით მოტივაციას და შესაძლებლობებს შეუქმნის დაფინანსებისათვის, როგორც შიდა, ისე საერთაშორისოდ აღიარებული დონორების მხრიდან.
- მმართველობის დაბალანსებული სტრუქტურის შექმნა.

სწრაფვა ხარისხისაკენ და მუდმივი ძიება მართვის პროცესების გაუმჯობესებისათვის, სიახლეს არ წარმოადგენს. უნივერსიტეტისათვის, როგორც თავისუფალი აკადემიური სივრცისათვის, აუცილებელი კომპონენტია სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა, რაც გულისხმობს სწავლისა და სწავლების პროცესში უახლესი კვლევის შედეგების გათვალისწინებას, სტუდენტის ჩართულობას კვლევის პროცესების გაანალიზებაში. აღნიშნული თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასანერგად. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა 2023 წლის ბიუჯეტიც, რომლის ანგარიშიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს(სენატის) წინაშე.

უნივერსიტეტში 2018 წლიდან მოქმედებს „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დარეგულირების და ანგარიშვალდებულების წესი“, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის (კანცლერისათვის) სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდებას, როგორც გამოყენებული რესურსების, ბიუჯეტის შესრულების, შედეგიანობისა და დასახული

მიზნების მიღწევის, ისე ხარვეზების იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის წლიური ანგარიშგება შედგა აღნიშნული წესის მოთხოვნათა დაცვით, რომელშიც კონკრეტულადაა გაწერილი მოსალოდნელი რისკები, მათი იდენტიფიცირების გზები, გავლენის შეფასების მექანიზმები, პრევენციის საშუალებები და მოიცავს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების შესრულების მაჩვენებლებს.

საბიუჯეტო მაჩვენებლები

2023 წლის ნაერთი ბიუჯეტი შედგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის „ა“ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესის“ ნორმათა დაცვით. უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტი დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 29 დეკემბრის N01-06-02/62 დადგენილებით და განისაზღვრა 53 692 135 ლარით, რომელიც მხოლოდ საკუთარ სახსრებს მოიცავდა. წლის ბოლოს ნაერთი ბიუჯეტის დაზუსტებულმა მაჩვენებლებმა შეადგინა 70 326 471 ლარი, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტზე 16 634 336 ლარით მეტია. აღნიშნული სხვაობიდან 8 462 963 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებია, 3 104 697 ლარი-საერთაშორისო გრანტები, ხოლო 5 066 676 ლარი - საკუთარ სახსრები, სადაც ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან გადმოცემულ თანხებს უკავია.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022-2028 წწ. განვითარების სტრატეგია შვიდი მიმართულებით ხორციელდება, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამებში. იგი ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას და მოიცავს ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ასევე კანონით, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული, ან/და ნებადართული სტრუქტურული ერთეულების მიერ გასათვალისწინებული ამოცანებისა და

ფუნქციონირებისათვის გამოყენებულ ფულად სახსრებს.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, საერთაშორისო გრანტების სახსრებითა და კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებით(საკუთარი სახსრები). 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლები განისაზღვრა 70 326 471 ლარით, საიდანაც ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი საკუთარ სახსრებს უკავია და შემოსავლების 83,6 %-ს შეადგენს. 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებლების შედარება გასული ორი წლის მაჩვენებლებზე ასეთ სურათს გვაძლევს:

N	დასახელება	2023წელი (ლარი)	2022წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)	სხვაობა 2022წლის მაჩვენებლების მიმართ	სხვაობა 2021წლის მაჩვენებლების მიმართ
	სულ შემოსულობები	**70 326 471**	**66 513 592**	**63 202 970**	**3 812 879**	**7 123 501**
1	**საკუთარი სახსრები**	58 758 811	57 742 929	55 771 731	1 015 882	2 987 080
2	**სახელმწიფო ბიუჯეტი**	8 462 963	6 249 243	6 180 558	2 213 720	2 282 405
3	**მიზნობრივი გრანტები**	3 104 697	2 521 420	1 250 681	583 277	1 854 016

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლები გასული წლის დაზუსტებულ მაჩვენებლებს 3 812 879 ლარით აღემატება, ხოლო 2021 წლის მაჩვენებლებს - 7 123 501 ლარით. აღნიშნულ სხვაობებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საკუთარ სახსრებზე მოდის და წლების მიხედვით შესაბამისად 1 015 882 ლარს და 2 987 080 ლარს შეადგენს .

შემოსულობების შესრულების მაჩვენებლები დაფინანსების წყაროების, რენე-1-ის სტუდენტების დაფინანსებისა(25 875ლ) და ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს:

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
სულ შემოსულობები	**70 326 471**	**65 794 336**	**-4 532 135**	**93,6**
1.საკუთარი სახსრები	58 758 811	54 834 720	-3 924 091	93,3

2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება	8 462 963	8 451 210	-11 753	99,9
3.საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	3 104 697	2 508 406	-596 291	80,8

გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 93.6%-ია. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სახსრები თითქმის 100 %-ს აღწევს, ხოლო შედარებით დაბალი მაჩვენებელი 80,8 % საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტების თანხებზე მოდის, რაც აიხსნება იმით, რომ წლის ბოლოს არ მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი თანხების ჩამორიცხვა.

2023 წლის შემოსულობების და გადასახდელების შესრულების ანალიზი

2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებელი 70 326 471 ლარს შეადგენს, სადაც საკუთარი სახსრების წილი 83.5%-ია და განისაზღვრება 58 758 811 ლარით. ნაშთი 01.01.23 წლისათვის შეადგენდა 1 311 279 ლარს, საიდანაც საკუთარი სახსრების ჭრილში შეადგენდა 1 169 587 ლარს, ხოლო საერთაშორისო გრანტების ნაწილში - 141 692 ლარს. შემოსულობებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწავლის საფასურზე მოდის, რომლის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სასწავლო გრანტი(ვაუჩერული დაფინანსება), პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან გადახდილი გადასახადი. ამ მაჩვენებელმა ნაცვლად გათვალისწინებული 44 713 885 ლარისა შეადგინა 41 171 940 ლარი. აქედან სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან საანგარიშო წელს გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს 21 563 811 ლარს, ხოლო სასწავლო გრანტის(ვაუჩერული დაფინანსება), პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების თანხა - 19 608 128 ლარს, მათ შორის პროფესიული სწავლების ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 2 412 428 ლარს.

საანგარიშო პერიოდისათვს, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების მაჩვენებლები ასეთ სურათს გვაძლევს:

სულ შემოსულობები	კოდები	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
სულ შემოსულობები		70 326 471	65 794 336	93,6
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		**1 311 279**	**1 311 279**	100,0

მიმდინარე შემოსულობები		69 015 192	64 483 057	93,4
1.სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით	1.4.2.3.3. 268-273	44 713 885	41 137 811	92,0
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება		12 972 102	12 253 611	94,5
2.1 საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება	1.3.3.2.1	3 986 346	3 279 608	82,3
2.2 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 05 04)		6 971 513	6 959 760	99,8
2.3 პროგრამის „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება“ ქვეპროგრამა „ცოდნის კარის“ (პროგრამული კოდი 32 05 05 01)	1.4.2.3.3. 268	25 128	25 128	100,0
2.4 პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ ქვეპროგრამა „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა(კოდი:32 04 02 08)	1.3.3.1.1.1.9	126 355	126 355	100,0
2.4 სახელმწიფო (32 04 02 06) და სხვა სახელობის სტიპენდიები და გრანტები		1 500 450	1 500 450	100,0
2.5 ქ.თბილისის მერიის პროგრამა '' პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა''	1.3.3.1.3.1.9	328 915	328 915	100,0
2.6 პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა	1.3.3.1.1.2	8 395	8 395	100,0
„მეცნიერების პოპულარიზაცია- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა“	1.3.3.1.1.1.9	25 000	25 000	100,0
3.სამეცნიერო - კვლევითი გრანტები მ.შ.		**6 017 342**	**5 245 617**	**87,2**
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1.3.3.1.1.1.9	2 759 147	2 462 022	89,2
საერთაშორისო გრანტები		2 963 005	2 508 406	84,7
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	1.3.3.1.1.2	295 190	275 189	93,2
4.კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები		**5 311 863**	**5 846 018**	110,1
4.1.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	1.4.2.3.2.1	701 445	692 314	98,7

4.2.შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან	1.4.2.3.3.238	2 575 000	3 248 683	126,2
4.3.სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	1.4.2.3.3.999	1 300 000	1 351 211	103,9
4.4. მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	1.4.4.1	735 418	553 810	75,3

გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 93,6%-ს შეადგენს, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებზე მოდის, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამასა და სსიპ -შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებზე. მიზეზი აიხსნება სარემონტო სამუშაოებზე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისებით.

შემოსულობებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი სწავლის საფასურზე მოდის და ფაკულტეტების მიხედვით გეგმის შესრულების მაჩვენებლები შეადგენს:

N	**ფაკულტეტის დასახელება**	შემოსავლების **გეგმა**	**საკასო** შესრულება	სხვაობა ამოსაღებ თანხასა და საკასო შესრულებას შორის	შესრულების %
1	სამშენებლო	3 880 239	3 745 914	-134 325	97
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	3 494 613	3 244 486	-250 127	93
3	სამთო-გეოლოგიური	2 109 210	2 045 358	-63 852	97
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1 248 413	1 043 064	-205 349	84
5	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერია	2 643 217	2 225 881	-417 336	84
6	არქიტექტურა, ურბანისტიკა და დიზაინი	2 954 053	2 927 588	-26 465	99
7	ბიზნესტექნოლოგიები	4 427 775	4 083 441	-344 334	92
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	7 618 879	7 065 786	-553 093	93
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	785 400	610 255	-175 145	78
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	4 723 480	4 514 940	-208 540	96
11	საინჟინრო ეკონომიკა, მედიატექნოლოგიები და სოციალური მეცნიერებები	3 494 585	2 642 328	-852 257	76

12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	5 058 055	4 075 518	-982 537	81
13	მთის მდგრადი განვითრება	542 414	534 952	-7 462	99
	სულ	**42 980 330**	38 759 511	-4 220 819	90

აღნიშნული მონაცემების მიხედვით სწავლის საფასურის ამოღების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 90,0 %-ია, აქედან პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი ფაკულტეტების შესრულების მაჩვენებელი თითქმის 100 %-ს უტოლდება, ხოლო ფაკულტეტები, რომლებიც არ არიან პროგრამულ დაფინანსებაზე, შესრულების მაჩვენებელი 76%-დან 84%-მდე მერყეობს. შეუსრულებლობის მიზეზი სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობაში მდგომარეობს. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დავალიანება 2024 წლის 01 იანვრისათვის 3 124 853 ლარს შეადგენს, ხოლო დავალიანების სახით ჩამოწერილი იქნა 1 029 100 ლარი, რაც ფაკულტეტების მიხედვით შეადგენს:

N	დასახელება	აქტიური სტუდენტების დავალიანება 27.12.2023 მდგომარეობით	არააქტიური სტუდენტების დავალიანება, რომელთაც 2023 წელს შეიჩერეს სტატუსი 27.12.2023 მდგომარეობით	სტატუს აღდგენილი სტუდენტების დავალიანების ჩამოწერა 27.12.2023 - მდე	სულ დავალიანება
1	სამშენებლო	129 648	5 400	29 087	164 134
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	173 902	3 141	41 713	218 755
3	სამთო-გეოლოგიური	123 001	2 842	825	126 668
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	124 836	9 271	64 352	198 459
5	სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერია	274 111	4 031	126 732	404 873
6	არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი	108 654	8 108	4 530	121 292
7	ბიზნესტექნოლოგიები	377 810	6 804	123 377	507 992
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	730 743	11 841	277 866	1 020 450
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	20 186	334	3 546	24 065
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	78 704	4 287	13 714	96 705

11	საინჟინრო ეკონომიკა, მედიატექნოლოგიები და სოციალური მეცნიერებები	240 518	24 380	163 886	428 785
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	544 930	38 161	155 659	738 749
13	მთის მდგრადი განვითრება	77 311	1 900	23 816	103 027
სულ		3 004 354	120 499	1 029 100	4 153 954

2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 70 326 471 ლარით განისაზღვრა, ხოლო გადასახდელები - 70 350 621 ლარით. სხვაობა შემოსავლებსა და გადასახდელებს შორის 24 150 ლარია, რომელიც ქვეპროგრამის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა“ ფარგლებში „სუბსიდიის“ სახით იქნა გამოყოფილი. გადასახდელების გეგმიური და საკასო შესრულების მაჩვენებლები დაფინანსების წყაროების მიხედვით შეადგენს:

N	დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
სულ გადასახდელები		**70 350 621**	**65 603 788**	**-4 746 833**	**93,3**
1	საკუთარი სახსრები	58 782 961	54 644 172	-4 138 789	93,0
	მ.შ. სუბსიდიები	24 150	24 141	-9	100,0
2	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება	8 462 963	8 451 210	-11 753	99,9
3	საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	3 104 697	2 508 406	-596 291	80,8

ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებზე მოდის და შეადგენს 99,9%-ს, რომელიც მოიცავს სახელმწიფო სტიპენდიას და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებას.

გადასახდელები გაწერილია პროგრამების მიხედვით, კერძოდ:

1. „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება“ (პროგრამული კოდი 01 01);

2. „უმაღლესი განათლება“ (პროგრამული კოდი 01 02);

3. „სტუდენტთა ხელშეწყობა “(პროგრამული კოდი 01 03);

4. „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 04);

5. პროფესიული განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 01 05);

6. კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 06);

7. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 01 07).

განვიხილოთ თითოეული პროგრამა და მათი შესრულების მაჩვენებლები:

1.პროგრამის „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 01) გეგმა განისაზღვრა 14 563 100 ლარით, შესრულებამ შეადგინა 14 027 260 ლარი, რაც გეგმის შესრულების 96,3%-ია.

პროგრამა მოიცავს სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობას, რომელიც წარიმართება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტების შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის, მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და წლის განმავლობაში არსებული ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვა მოიცავს, როგორც დამხმარე პერსონალის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის, ასევე, კომუნალური და საგადასახდო ვალდებულებების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.

უნივერსიტეტის განვითარების 2022-2028 წწ. სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას უკავია, რაშიც დიდ მხარდაჭერას გვიცხადებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ამ მიმართულებით 2023 წლის 31 იანვრის N43 ხელშეკრულებით, უნივერსიტეტს გამოეყო 100 480 ლარი. უნივერსიტეტი დიდ სამუშაოს ეწევა აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულ საბაკალავრო STEM პროგრამების საერთაშორისო ABET აკრედიტაციის მოსაპოვებლად, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიმართულებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსების გეგმიურმა მაჩვენებელმა, როგორც აღვნიშნეთ შეადგინა 100 480 ლარი, საკასო შესრულებამ - 84 292 ლარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი 5 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ერთს „ბიოსამედიცინო ინჟინერია Biomedical Engineering” ABET ორგანიზაციის მიერ მიენიჭა აკრედიტაცია. დანარჩენი პროგრამების აკრედიტაციისათვის პროექტი გაგარძელდა 2024 წელსაც.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დიდ ადგილს უთმობს კვლევების განვითარებას, რომლის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო სამეცნიერო გრანტებია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და უნივერსიტეტის ჩართულობით შეიქმნა საგრანტო ოფისი, რომელთა დახმარებით უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა სამეცნიერო გრანტების მოზიდვა და ჩვენი აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევებში. აღნიშნული მიზნით „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის „საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისების მხარდაჭერის“ ფარგლებში, სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის 2022 წლის 20 დეკემბრის N1451 ხელშეკრულებით, უნივერსიტეტს გამოეყო 15 000 ლარი, ხოლო სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის, 2023 წლის 09 თებერვლის N03 ხელშეკრულებით, საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო კონკურსების კოორდინატორისთვის - 13 750 ლარი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზეც და ამ მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა კორპორაციული დაზღვევის ხარჯები, რომლის შესრულების წლიური მაჩვენებელი 966 841 ლარს შეადგენს.

2. უმაღლესი განათლება (ფაკულტეტები-პროგრამული კოდი 01 02) დაზუსტებული გეგმა 29 211 941 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 29 170 469 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99,9%-ია. პროგრამის განმახორციელებელია 13 ფაკულტეტი, რომელიც მოიცავს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საფეხურებს. აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით, რომლითაც ფინანსდება ფაკულტეტებზე დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, მივლინება, წარმომადგენლობითი ხარჯები, კონფერენციების, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სასწავლო მიზნით საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯები, წიგნადი ფონდის შევსების და საგნობრივი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგის გადასახდელები. პროგრამის მიზანია მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის გზით უზრუნველყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება და მათი ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ინიციატივითა და მონაწილეობით სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით პერმანენტულად ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვა, წინადადებების დამუშავება და დადგენილებების/ბრძანებების პროექტების მომზადება. ინტენსიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების (Elearning, VICI) სრულად ათვისების

პროცესი; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების უმრავლესობისათვის დასრულდა და ამუშავდა დიპლომის დანართების მომზადების ქვეპროგრამა. ასევე, დასრულდა „სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სერვისების სისტემის რეგულირების წესის“ პროექტი, რომელიც 2023 წლის 6 ივნისს აკადემიურმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა (დაადგენილება №01-05-04/79).

საანგარიშო პერიოდისათვის, 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებლებში, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი „უმაღლესი განათლების“ პროგრამაზე მოდის და შეადგენს 44,5-%-ს. პროგრამის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 99,9% -ია და შეადგენს 29 170 469 ლარს. ვალდებულებები, რომელიც ფაკულტეტების მიხედვთ იყო გაწერილი შესრულებულია, დროულად იქნა გაცემული, როგორც შტატით, ასევე შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, რომელთა საკასო მაჩვენებელი 27 698 711 ლარია. ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა საგნობრივი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგის პროცესს, რისთვისაც გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 220 995 ლარი, კერძოდ:

N	ფაკულტეტი	საფეხური	აკრედიტაცია	ანგარიში	მონიტორინგი	თანხა (ლარი)
1	**სამშენებლო**	ბაკალავრიატი		1		
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა	1			
	ჯამი		**1**	**1**	**0**	**15 805**
2	**ენერგეტიკა**	ბაკალავრიატი		1		
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა				
	ჯამი		**0**	**1**	**0**	**1 627**
3	**სამთო-გეოლოგია**	ბაკალავრიატი	1			
		მაგისტრატურა		1		
		დოქტორანტურა				
	ჯამი		1	1	0	**7 866**
4	**ქიმიური ტექნოლოგია და მეტალურგია**	ბაკალავრიატი				
		მაგისტრატურა	3			
		დოქტორანტურა	1		1	
	ჯამი		**4**	**0**	**1**	**37 611**
5	**სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერია**	ბაკალავრიატი	1	1		
		მაგისტრატურა	2			
		დოქტორანტურა				
	ჯამი		**3**	**1**	**0**	**21 883**
6		ბაკალავრიატი				

	არქიტექტურა, ურბანისტიკა და დიზაინი	მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა	1			
	ჯამი		**1**	**0**	**0**	**12 696**
7	**ბიზნეს ტექნოლოგიები**	ბაკალავრიატი	2	1		
		მაგისტრატურა	1	1		
		დოქტორანტურა		1		
	ჯამი		**3**	**3**	**0**	**18 432**
8	**საინჟინრო ეკონომიკა, მედიატექნოლოგიები და სოციალური მეცნიერებები**	ბაკალავრიატი	1		1	
		მაგისტრატურა				
		დოქტორანტურა	1			
	ჯამი		**2**	**0**	**1**	**28 757**
9	**დიზაინის საერთაშორისო სკოლა**	ბაკალავრიატი	2			
		მაგისტრატურა	1			
		დოქტორანტურა				
	ჯამი		**3**	**0**	**0**	**21 154**
10	**ინფორმატიკის და მართვის სისტემები**	ბაკალავრიატი	1			
		მაგისტრატურა	1	1	1	
		დოქტორანტურა	1		1	
	ჯამი		**3**	**1**	**2**	**28 741**
12	**აგრარული მეცნიერებები და ბიოსისტემების ინჟინერინგი**	ბაკალავრიატი	1			
		მაგისტრატურა	1			
		დოქტორანტურა				
	ჯამი		**2**	**0**	**0**	**26 423**
	სულ		**23**	**8**	**4**	**220 995**

აკრედიტაცია გაიარა 23 ახალმა პროგრამამ, რეკომენდაციების შესრულების ანგარიში-8 პროგრამამ, ხოლო აკრედიტაციის პირობების შემოწმება-4 პროგრამამ. პროცესი მოიცავს, როგორც პროგრამის მდგრადობის, ასევე ფინანსური მხარდაჭერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მონიტორინგს, რასაც უნივერსიტეტმა წარმატებით გაართვა თავი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი-ს წევრი, რომელიც თავის მხრივ არის საერთაშორისო ორგანიზაციის (ბიბლიოთეკების ეროვნული კონსორციუმების კონსორციუმის) eIFL.net-ის წევრი. კონსორციუმი საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკებს შეღავათიან ფასად ინტერნეტის საშუალებით ისარგებლონ მსოფლიოს მრავალი ცნობილი გამომცემლობების ჟურნალებით, ელექტრონული წიგნებითა და სხვა მრავალი მონაცემთა ბაზებით.

2023 წელს მიღებულია: 989 დასახელების 3181 ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეული, მათ შორის:

ა) ხელშეკრულების (შესყიდვის) საფუძველზე მიღებულია 180 დასახელების 898 ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეული;

ბ) საჩუქრად და შემოწირულობით მიღებულია 521 დასახელების 1751 ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეული;

გ) დისერტაციების სახით 260 დასახელების 260 ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეული

დ) სტუ-ს „ტექნიკური უნივერსიტეტი“-ის სტამბიდან 28 დასახელების 272 საბიბლიოთეკო ერთეული.

2021 წლიდან უნივერსიტეტი ანხორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში, საფრანგეთის რენე-1 უნივერსიტეტთან ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამას „სასურსათო ტექნოლოგია"(„რძის მრეწველობაში რძის გადამუშავება და მენეჯმენტი“), სადაც ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით უზრუნველყოფა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში" ქვეპროგრამით „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“. ამ მაჩვენებელმა 2023 წელს შეადგინა 25 875 ლარი, ხოლო რენე-1 პროფესორების მიერ პროექტის ფარგლებში, საქართველოში წაკითხული ლექციების ანაზღაურება ხორციელდება საკუთარი სახსრებით და აღნიშნულ პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 27 470 ლარს. ასევე, უნივერსიტეტი თანამშრომლობს საფრანგეთის სუპაგრო მონპელიეს უნივერსიტეტთან, რომლის დაფინანსება 2023 წელს მევენახეობა და ენოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეადგენს 25 608 ლარს, საიდანაც საანგარიშო წელს მხოლოდ 2 405 ლარი გადაირიცხა, ხოლო დანარჩენი გადაირიცხა 2024 წელს. აღნიშნული პროგრამები ემსახურება ორდიპლომიანი პროგრამის განხორციელებას და ასევე, ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროექტში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას. საანგარიშო პერიოდისათვის ამ მაჩვენებელმა 22 711 ლარი შეადგინა.

3. პროგრამის „სტუდენტთა ხელშეწყობა“(პროგრამული კოდი 01 03) დაფინანსების გეგმა ყველა წყაროს გათვალისწინებით 1 814 005 ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ - 1 786 802 ლარი, რაც გეგმის შესრულების 98,5%-ია.

სტუდენტთა ხელშეწყობა გამოიხატება წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო, თუ საფაკულტეტო სტიპენდიებით უზრუნველყოფაში, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათების დაწესებაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. მისი თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმს გარე აქტივობების ორგანიზებასა და დაფინანსებაში, მუდმივად ზრუნავენ სპორტისა და კულტურის პოპულარიზაციაზე, სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, უზრუნველყოფენ ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენას და მათ მონაწილეობას მსოფლიო და ეროვნულ უნივერსიადებში. პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს და ითვალისწინებს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეთა ხელშეწყობას.

3.1 ქვეპროგრამა „სტუდენტური სტიპენდიები'' მოიცავს, როგორც სახელმწიფო, ისე საფაკულტეტო სტიპენდიებს და განისაზღვრება 1 527 750 ლარით, აქედან ფაკულტეტის მიერ გასაცემი და სხვა სახელობითი სტიპენდიები შეადგენს 36 300 ლარს, სახელმწიფო სტიპენდია -1 491 450 ლარს. სხვა სახელობითი სტიპენდიები მოიცავს ფაკულტეტის მიერ გასაცემ სახელობით სტიპენდიებს, „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის" მიერ, გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულ „მწვანე სტიპენდიას", რომელიც სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში გამარჯვებულ 6 სტუდენტს ერთჯერადად გამოეყო 1 500 ლარი და წლის განმავლობაში შეადგინა 9 000 ლარი. ასევე, პროგრამის „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისების" ფარგლებში იორდანელი სტუდენტის სტიპენდიას, რომელიც 16 200 ლარია. სულ, შესრულებამ შეადგინა 28 900 ლარი, რაც გეგმის შესრულების 79,6%-ია. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ იორდანელი სტუდენტის სტიპენდია წლის ბოლოს დარჩა ნაშთის სახით, რომელიც 2024 წელს გაიცა.

3.2 ქვეპროგრამის „კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებები" (კოდი 01 03 02) დაფინანსება განისაზღვრა 195 750 ლარით, შესრულებამ შეადგინა 100 %-ი. თანხები მიმართულ იქნა სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებებზე, სადაც წარმატებით ასპარეზობენ უნივერსიტეტის გუნდები. კერძოდ, საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის მიერ ჩატარებულ „უნივერსიადა 2023"-ში ვაჟთა კაპელამ და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მერანი" პირველი ადგილი მოიპოვეს. აღსანიშნავია ქართული ცეკვის ანსამბლის „მერანი" მონაწილეობა ბულგარეთში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ანსამბლმა გრან-პრი მოიპოვა. სტუ-ს თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს" მონაწილეობა საბერძნეთის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც დაჯილდოვდნენ პრიზით

საუკეთესო ქორეოგრაფიული შესრულებისთვის. ასევე, წარმატებით გამოდიოდა ჩვენი თეატრი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე (ხონი, ხარაგაული, სენაკი; ოზურგეთი; სიღნაღი). წლის განმავლობაში, თეატრის მიერ მიმდინარეობდა სხვადასხვა სპექტაკლის ჩვენება, მათ შორის ნოდარ დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში.

უნივერსიტეტი აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში, ასევე მონაწილებდა ეროვნული ფედერაციების მიერ მოწყობილ ჩემპიონატებზე, კერძოდ, 2023 წლის საქართველოს ფრენბურთის ეროვნულ ჩემპიონატში უნივერსიტეტის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებმა I საპრიზო ადგილი დაიკავა, რისთვისაც საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ საპრიზო ფონდის სახით უნივერსიტეტს ჩაურიცხა 8 000 ლარი, ხოლო ქვიშის ფრენბურთში უნივერსიტეტეტის გოგონათა და ვაჟთა გუნდების მიერ პირველი და მესამე ადგილების მოპოვებისთვის - 2 760 ლარი. უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი დაუმარცხებლად ატარებდა შეხვედრებს სტუდენტური A ლიგაში, ასევე, მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში (კალათბურთი U 22), უნივერსიტეტის ვაჟ ხელბურთელთა ნაკრები გუნდი წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს ხელბურთის 34-ე ეროვნულ ჩემპიონატში. მთელი წლის განმავლობაში ფაკულტეტებს შორის მიმდინარეობდა სპორტული ოლიმპიადა სხვადასხვა სპორტის სახეობებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს კუთხეების უკეთ გაცნობის მიზნით, ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისათვის, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას და შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას. სტუდენტების მიერ ეწყობა ბევრი საინტერესო შეხვედრა, დისკუსია, პერსონალური გამოფენები უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში „გალერი“. ტრადიციული ხასიათი მიიღო დასქმების ფორუმის მოწყობამ, სადაც 105 სახელმწიფო და ბიზნეს კომპანია მონაწილეობდა. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სტუდენტების დასაქმებას და კარიერულ განვითარებას. ამავე მიზნით მოეწყო სტუდენტების შეხვედრა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სპეციალური ტექნიკის სამმართველოს თანამშრომლებთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებთან და იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან

ტრადიციულად, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართა პირველ კურსელებთან და სტუდენტებთან დახვედრის საზეიმო ცერემონიალი.

3.3 ქვეპროგრამა „სტუდენტური პროექტები“ განისაზღვრა 90 505 ლარით, შესრულებამ შეადგინა 100 %. ქვეპროგრამა მოიცავს სტუდენტური პროექტებისა და კონკურსების დაფინანსებას. ასევე, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 32 04 05) პროგრამის ფარგლებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ქვეპროგრამის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 32 04 05 02) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებებიდან, სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოეყო სუბსიდია 100 000 ლარი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 18-21 დეკემბერს, ქ. თელავში, უნივერსიტეტის ორგანიზებით განხორციელდა სტუდენტური პროექტის „ზამთრის სკოლა 2023“ პანელური დისკუსია თემაზე „საქართველო-ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება „რობოტების ბრძოლა“, რომლის მიზანია სტუდენტებში რობოტოტექნიკის, მექატრონიკის, ელექტრონიკის, პროგრამირების მიმართულებით პრაქტიკული უნარების, შემოქმედებითი კრეატიული აზროვნების განვითარება. ასევე, პროექტის ფარგლებში, ჩვენი სტუდენტები მონაწილეობდნენ ქ. ბათუმში გამართულ „ევროკავშირის ახალგაზრდულ ფორუმში“.

კომპანია RMG-ის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე შეიქმნა სამთო ტექნოლოგიების ცენტრი, რომლის მთავარი მიზანია სტუდენტებისათვის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გაცნობა და ათვისება, რისთვისაც ბრიტანულ კომპანია „Bently Sistems International Ltd“-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სიმბოლურ ფასად (1000 აშშ დოლარი) უნივერსიტეტს გადმოეცა პროგრამა „ლიპფროგი“ -ს 25 ლიცენზია.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების ცენტრი „ერთად“, რომელთა მიერ სამეცნიერო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე არეალის დაგეგმარება ვორონოის დიაგრამის მეთოდის საფუძველზე" მიღებული ალგორითმები გამოყენებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „იყალთოს აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების, საკომუნაკაციო ქსელის ოპტიმალური პროექტის შესაქმნელად. შემუშავებული ალგორითმების

ბაზაზე შესაძლებელია შეიქმნას გამოყენებითი პროგრამული პაკეტი ურბანისტების, არქიტექტორებისა და ქალაქის მმართველთათვის სისტემური გადაწყვეტილების მისაღებად.

ამავე ცენტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა საიტი „მომავლის პროექტები“, რომელიც ხელს შუწყობს გამოგონებების, წინასწარმეტყველური და მეცნიერული ფანტასტიკური პროექტების, იდეების, ინოვაციური პროექტების მოძიებას და განხორციელებას.

4. პროგრამა „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 04) დაზუსტდა და დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შეადგინა 16 391 817 ლარი, ხოლო შესრულებამ - 14 897 254 ლარი, რაც გეგმის შესრულების 91,0 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელია უნივერსიტეტის 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტის მონაწილენი, უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრები, რომელთა მიზანია მეცნიერული კვლევების განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური კონტაქტები, ერთობლივი კვლევები, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება, სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა და ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა და მისი ინტეგრირება სასწავლო პროცესთან. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: „გრანტები“ (01 04 01);, „სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები“ (01 04 02); „დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“(01 04 03); „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა“ (01 04 04) და „დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“(01 04 05).

4.1 ქვეპროგრამა „გრანტები“ თავის მხრივ მოიცავს სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს, საერთაშორისო გრანტებს და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს.

სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები დამტკიცდა 1 450 530 ლარის მოცულობით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და 2023 წლის 01 იანვრის საკასო ნაშთის ჩათვლით (988 377 ლარი) განისაზღვრა 2 833 462 ლარით, შესრულებამ შეადგინა 2 254 018 ლარი, რაც გეგმის შესრულების 93,5%-ია. ფონდის გრანტები მოიცავს გამოყენებით, ფუნდამენტურ, ახალგაზრდა მეცნიერთა, საგამომცემლო, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური მიმართულების(STEM)გრანტებს, კერძოდ:

- გამოყენებითი გრანტების რაოდენობამ შეადგინა 11 ერთეული, მოცულობით-1 200 000 ლარი;

- ფუნდამენტური გრანტების რაოდენობამ შეადგინა 21 გრანტი, მოცულობით-1 388 947 ლარი;

- ახლგაზრდა მეცნიერთა გრანტების რაოდენობამ შეადგინა 8 ერთეული, მოცულობით 108 665 ლარი;

-მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური მიმართულების (STEM) გრანტებმა შეადგინა 4 ერთეული, მოცულობით - 135 850 ლარი.

საერთაშორისო(მიზნობრივი) გრანტების დაფინანსების მოცულობა დაზუსტდა მოსალოდნელი ჩამოსარიცხი თანხებით და შეადგინა 3 104 697 ლარით, შესრულებამ შეადგინა 2 508 405 ლარი, რაც გეგმის შესრულების 80,8%-ია. შედეგი აიხსნება იმით, რომ არ მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი თანხის ჩამორიცხვა.

2023 წელს უნივერსიტეტში განხორციელდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გრანტები: ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ERASMUS+ საერთაშორისო მობილობის პროექტი კრედიტების დაგროვებით; გაეროს გრანტები FAO; კვლევების აღმასრულებელი სააგენტოს გრანტი HORIZON EUROPA; პროექტი "PROMENT", რომლებიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას, სტუდენტების მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

4.2 ქვეპროგრამა „სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტები“ აერთიანებს 15 კვლევით ინსტიტუტს. ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 29 დეკემბრის N1675911 ბრძანების საფუძველზე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება განისაზღვრა 7 051 289 ლარით. წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 ოქტომბრის N1333107 ბრძანებით, ბიუჯეტი შემცირდა 79 776 ლარით და შეადგინა 6 971 513 ლარით. შემცირებული თანხიდან 14 058 ლარი ტენდერიდან წარმოქმნილი ეკონომიაა, ხოლო 65 718 ლარი - შრომის ანაზღაურებაა.

კვლევითი ინსტიტუტების 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 6 959 760, რაც გეგმის შესრულების 99,8%-ია, კერძოდ:

N	დასახელება	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის საკასო ხარჯი	შესრულების %
	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები სულ	6 971 513	6 959 760	99,8
1	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	247 214	247 069	99,9
2	ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	675 515	670 631	99,3
3	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	305 066	305 010	100,0
4	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	634 170	632 770	99,8
5	ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი	1 607 188	1 606 851	100,0
6	ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი	544 221	543 112	99,8
7	საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	299 500	299 275	99,9
8	სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო - ტექნოლოგიური ცენტრი	68 840	65 033	94,5
9	ინსტიტუტი ,,ტალღა"	126 100	126 097	100,0
10	ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	621 812	622 113	100,0
11	კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	436 565	435 253	99,7
12	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	**207 648**	207 597	100,0
13	არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	**551 684**	550 745	99,8
14	ინსტიტუტი "ტექინფორმი"	**322 490**	324 988	100,8
15	კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი	**323 500**	323 216	99,9

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტები არ ითვალისწინებს თანხებს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული გათვალისწინებულია სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებაში და სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებში. 2023 წელს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ კონკურსში გამარჯვებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს გამოეყოთ 440 182 ლარი, რომელიც ასახულია ნაერთი ბიუჯეტის პროგრამის „ინფრასტრუქტურის განვითარება“ ქვეპროგრამაში „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება’’.

წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი ასეთ სურათს იძლევა:

№	დასახელება	ჯამური რაოდენობა
1	**ეროვნული პატენტების რაოდენობა**	**11**
2	**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**	**31**
3	**საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტები**	**6**
4	**სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეთა რაოდენობა**	**266**
4,1	მ.შ. საქართველოში	115
4,2	მ.შ. უცხოეთში	151
5	**გამოქვეყნებული სტატიების, შრომების, თეზისების რაოდენობა**	**481**
5,1	მ.შ. საქართველოში	158
5,2	მ.შ. უცხოეთში	323
5,2,1	მ.შ.იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში	142
6	**გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები, კრებულები, მონოგრაფიები**	**42**
6,1	გამოქვეყნებული კრებულები (რეფერატული ჟურნალები)	10
6,2	გამოქვეყნებული მონოგრაფიები (ცნობარები)	23
6,3	გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები	9
7	**კვლევითი შედეგების დანერგვა**	**2**
8	**მონაცემთა ბაზების განახლება**	**6**
9	**საქართველოს მეცნიერებათა შრომების გამოქვეყნება საერთაშორისო სისტემებში/ ბაზებში**	**1480**
9,1	FAO AGRIS მონაცემთა ბაზებში შრომების გამოქვეყნება	323
9,2	ქართული ტერმინების გამოქვეყნება მრავალენოვან თაზაურუსში FAO AGROVOC	1157
10.	**პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**	**270**

4.3 ქვეპროგრამა „დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“ მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით ცენტრებს, თვითდაფინანსებაზე მყოფ სამეცნიერო ცენტრებს და დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინურ საერთაშორისო სასწავლო-კვლევით კლასტერს, რომელიც ანხორციელებს პროექტს „სახელმწიფო, სამართალი, კულტურა“. 2023 წლის გეგმა განისაზღვრა 2 592 555 ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 479 176 ლარი, რაც გეგმის შესრულების 95, 6%-ია.

4.4 ქვეპროგრამა „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა“ მოიცავს მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას;

მაღალრეიტინგულ ჟურნალებში კვლევების გამოქვეყნებას და ფონდის გრანტებით გათვალისწინებულ თანადაფინანსების თანხებს. გეგმიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 544 400 ლარი, ხოლო შესრულებამ - 326 535 ლარი. სხვაობა 217 865 ლარი რუსთაველის ფონდის გრანტების თანადაფინანსების თანხებია, რომელიც გაიცემა გრანტის შესრულების შესაბამისად.

მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გამოეყო 25 000 ლარი. თანხა მიმართულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი საგანმანათლებლო პროექტის „ევროკავშირისა და ევროპული სახელმწიფოების ტრანსფორმაციის პროცესი კრიზისების გავლენის შედეგად. პრობლემები და გამოწვევები“ განხორციელებისათვის. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრები, უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „თავისუფლება, სამართლიანობა, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა“, წაკითხულ იქნა საჯარო ლექციები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბირთვული კვლევების ორგანიზაციაში (CERN) 170 162 ლარის ჩარიცხვა, რაც ხელს შეუწყობს ექსპერიმენტებში ჩვენი მკვლევარების უშალო ჩართულობას. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მკვლევართა ჯგუფმა აღადგინა გიორგი ნიკოლაძის მიერ 1927 წელს პარიზში დაპატენტებული პირდაპირი გამრავლებისა და გაყოფის ელექტრონული მანქანა-არითმომეტრი.

5. პროგრამა „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი 01 05) დაზუსტდა 2 099 365 ლარით, შესრულებამ შეადგინა 1 783 940 ლარი, რაც გეგმის შესრულების 85,0%-ია.

პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას, რომლის მიზანია სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების ოპერატიულად მომზადება. პროგრამის განმახორციელებელია ტრანსპორტისა და მექნიკის ინჟინერიის, სამთო-გეოლოგიური, ინფორმატიკის და მართვის სისტემების, ენერგეტიკის ფაკულტეტები, ტყიბულის პროფესიული სასწავლებელი და მოიცავს 23 პროგრამას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული სწავლების პროექტს „ამფეთქებელი“, რომლის გეგმიური მაჩვენებელი(ნაშთის გათვალისწინებით) შეადგენს 28 500 ლარს. შესრულებამ შეადგინა 100 %.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ ფარგლებში, უნივერსიტეტს გამოუყო 328 915 ლარი. შესრულებამ შეადგინა 267 135 ლარი, რაც გეგმის შესრულების 81,2%-ია. დარჩენილი თანხა გაიცა 2024 წელს.

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2023 წლის 22 სექტემბრის N109/მ ხელშეკრულებით, „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში(პროგრამული კოდი 32 03 02 02), უნივერსიტეტს ჩაერიცხა 8 395 ლარი. შესრულებამ შეადგინა 100%.

6. პროგრამა „კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 06) განისაზღვრა 468 320 ლარი, შესრულება შეადგენს 100%-ს.

უნივერსიტეტს ჰყავს დიდი ტრადიციების მქონე კულტურისა და სპორტის კლუბები, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები. პროგრამა ითვალისწინებს რაგბის, ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის და სხვადასხვა სპორტული გუნდების ხელშეწყობას. ასევე, განხორციელდა თეატრის „მოდი ნახე“, ვაჟთა კაპელას, ქალთა გუნდის, ქორეოგრაფიული ანსამბლის „მერანი“, ჯაზ-ორკესტრის და სხვა ჯგუფების ხელშეწყობ, რაც გულისხმობს აღნიშნულ გუნდებსა და ჯგუფებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას.

7. პროგრამის „ინფრასტრუქტურის განვითარება“(პროგრამული კოდი 01 07) გეგმა განისაზღვრა 5 802 073 ლარით, შესრულებამ შეადგინა 3 469 742 ლარი, რაც გეგმის შესრულების 59.8%-ია.

პროგრამა მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობას და რეაბილიტაციას, ლაბორატორიების ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფას, სასწავლო აუდიტორიების კეთილმოწყობას და სტუდენტური სივრცეების მოწყობას; უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის გაფართოებას.

პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს, კერძოდ:

7.1 „შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია“ მოიცავს, როგორც კვლევითი ინსტიტუტებისა და კოლეჯების, ასევე ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციასა და მიმდინარე რემონტს, კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობას, რისთვისაც გეგმის სახით განისაზღვრა 3 879 596 ლარი. შესრულებამ შეადგინა 2 272 244 ლარს, რაც გეგმის 58,6 %-ია. კერძოდ:

სსიპ-„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2023 წლის 28 სექტემბრის N320704-08 ხელშეკრულებით უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის გამოეყო 15 948 ლარი, შესრულებამ შეადგინა 14 267 ლარი.

ქვეროპგრამის ფარგლებში სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2022 წლის 03 ივნისის # 320704-01, 2022 წლის 05 სექტემბრის #320704-04 და 2023 წლის 26 ივნისის # 320704-03 ხელშეკრულებებით უნივერსიტეტს მე-6 სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციისა და სარემონტო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ იყო 4 068 557 ლარი, საიდანაც 2023 წელს გეგმა-გრაფიკის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ 2 723 786 ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ - 1 352 470 ლარი.

უნივერსიტეტის მთის მდგარდი განითარების ფაკულტეტს სარემონტო სამუშაოებისათვის გამოეყო 158 114 ლარი, შესრულებამ შეადგინა 120 471 ლარი.

2023 წელს დაიწყო აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე „სასურსათო პროდუქტების გადამუშავების“ და „მეღვინეობის“ სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობა, რისთვისაც სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოიყო 2 171 338 ლარი. გეგმა-გრაფიკის მიხედევით 2023 წელს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებამ 697 392 ლარი შეადგინა, ხოლო შესრულებამ - 109 783 ლარი.

სულ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-დან გადმოსაცემი თანხები, გეგმა - გრაფიკის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოებისათვის 3 217 373 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 1 266 990 ლარი, რაც გეგმის შესრულების 39,4%-ია.

საანგარიშო წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამთო გელოგიური ფაკულტეტის შახტა-ლაბორატორიაში არსებული მანქანა–დანადგარების დამიწების სისტემების რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამ 59 234 ლარი შეადგინა. ადმინისტრაციის შენობაში გაგრძელდა კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის ხარჯმა შეადგინა 91 200 ლარი. დასრულდა 2022 წელს დაწყებული ადმინისტრაციული და ფაკულტეტებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულება 217 361 ლარს შეადგენს. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მე-8 კორპუსის სახურავზე მზის ელექტრო სადგურის მონტაჟი, რომლის ღირებულებამ 77 542 ლარი შეადგინა.

7.2 ქვეპროგრამა „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება“ გეგმა განისაზღვრა 1 922 477 ლარით, ხოლო შესრულება შეადგენს 1 197 498 ლარს, რაც გეგმის 62,3%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში

გამარჯვებული ინსტიტუტებისათვის თანხების გამოყოფა, რომელმაც ნაშთის გათვალისწინებით შეადგინა 1 03 221ლარი. შესრულება შეადგენს 269 864 ლარს. შესრულების ასეთი დაბალი მაჩვენებელი აიხსნება მოთხოვნილი საქონლის მოუწოდებლობით და ასევ, ფონდთან შეთანხმებით, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გადავადებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2022 წლის 26 ოქტომბრის N320704-08 ხელშეკრულების თანახმად, შეძენილ იქნა მთის მდგარდი განითარების ფაკულტეტის ავეჯი, ღირებულებით 68 900 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, ფონდის გრანტის თანხების გათვალისწინებით, შეძენილ იქნა 578 253 ლარის ღირებულების კომპიუტერი, 103 867 ლარის პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები, 635 126 ლარის სხვადასხვა დასახელების მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები. კომპანია RMG-იმ ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, განხორციელდა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ლაბორატორიული ბაზის განახლება.

პროგრამების შესრულება საკუთარი სახსრების ჭრილში გვაძლევს ასეთ სურათს:

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა საკასო შესრულებასა და გეგმას შორს	
01	**უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება**	14 563 100	14 027 260	-535 840	96,3
01 02	**უმაღლესი განათლება(ფაკულტეტები)**	29 211 941	29 170 469	-41 472	99,9
01 03	**სტუდენტთა ხელშეწყობა**	322 555	295 352	-27 203	91,6
01 04	**მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევები ს ხელშეწყობა**	6 315 607	5 429 089	-886 518	86,0
01 04 01 01	მ.შ.სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ფონდის გრანტები	2 833 462	2 650 005	-183 457	93,5
01 05	**პროფესიული განათლება**	2 099 365	1 783 940	-315 425	85.0
01 06	**კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა**	468 320	468 320	0	100,0
01 07	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	5 802 073	3 469 742	-2 332 331	59,8
	სულ	**58 782 961**	**54 644 172**	**-4 322 246**	**93,0**

პროგრამების გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 93,0 %-ია, სადაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი პროგრამებს „კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა“ „უმაღლესი განათლება და „სტუდენტთა ხელშეწყობა“ უკავია. ხოლო ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მთლიანი გადასახდელების მიმართ პროგრამაზე „უმაღლესი განათლება“ მოდის და 53,4%-ს შეადგენს.



განვიხილოთ 2023 წლის ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით საკუთარი სახსრების ჭრილში, რომლის ვალდებულებების გეგმა 57 936735 ლარით განისაზღვრა, შესრულება შეადგენს 54 594 155 ლარს, რაც გეგმის შესრულების 94,2 %-ია, კერძოდ:

N	დასახელება	2023 წლის ვალდებულებების გეგმა	2023 წლის ვალდებულებების საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
	სულ ასიგნება	**57 936 735**	**54 594 155**	**-3 342 580**	**94,2**
	ხარჯები	**52 134 472**	**51 033 956**	**-1 100 516**	**97,9**
I	**შრომის ანაზღაურება**	29 021 993	28 635 708	**-37 388**	**99,9**
II	**საქონელი და მომსახურება**	**19 035 629**	**18 550 502**	**-485 127**	**97,5**
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	13 047 627	12 927 603	**-120 024**	**99,1**
3	მივლინება	504 230	469 244	**-34 986**	**93,1**
4	ოფისის ხარჯები; მათ შორის	3 865 979	3 737 658	**-128 321**	**96,7**
4.1.	კომუნალური ხარჯები	2 327 305	2 299 643	**-27 662**	**98,8**
4.2.	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	465 953	435 291	**-30 662**	**93,4**
4.3.	სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები	1 072 721	1 002 724	**-69 997**	**93,5**
5	წარმომადგენლობითი ხარჯები	337 424	330 203	**-7 221**	**97,9**
6	სამედიცინო ხარჯები	1 200	1 200	**0**	**100,0**
7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	58 401	58 259	**-142**	**99,8**
8	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	164 150	115 848	**-48 302**	**70,6**
9	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1 056 618	910 487	**-146 131**	**86,2**
	სუბსიდიები	24 150	24 141	**-9**	**100,0**
III	**გრანტები**	**35 000**	**34 989**	**-11**	**100,0**
IV	**სოციალური უზრუნველყოფა**	**35 000**	**31 960**	**-3 040**	**91,3**
V	**სხვა ხარჯები**	**4 006 850**	**3 780 797**	**-226 053**	**94,4**
12.1.	საგადასახადო ვალდებულებები და მოსაკრებლები	84 620	15 864	**-68 756**	**18,7**
12.2.	ემერიტუსის ანაზღაურება	998 875	998 863	**-12**	**100,0**
12.3.	ავსტრიის ბანკის მარჟა	200 455	200 455	**0**	**100,0**
12.4.	საგრანტო დაფინანსება	1 352 254	1 352 254	**0**	**100,0**

12.5.	პერსონალის დაზღვევა	1 077 513	966 841	**-110 672**	**89,7**
12.6.	სხვა დანარჩენი ხარჯი (მ.შ სტუდენტების დაფინანსება; ავტომანქან. დაზღვევა)	293 133	246 520	**-46 613**	**84,1**
VI	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**5 802 263**	**3 560 199**	**-2 242 064**	**61,4**
	არაწარმოებული აქტივები	**255 687**	**194 473**	**-61 214**	**76,1**

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გადასახდელების გეგმა შესრულებულია მაღალი პროცენტით, სრულად და დროულად იქნა შესრულებული ვალდებულებები თანამშრომელთა შრომის და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ნაწილში. შეუფერხებლად მოხდა კომუნალური და საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, თანამშრომელთა სადაზღვევო პრემიის დაფინანსება, საგნობრივი აკრედიტაციის საბჭოს დასკვნის შესაბმისად, მატერიალურ-ტენიკური ბაზის გაუმჯობესება, ყველა სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის, ანგარიში/მონიტორინგის საფასურის სრულად დაფინანსება. შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები, რაც აიხსნება გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სარემონტო სამუშაოების შეუსრულებლობით.

უნივერსიტეტი არის სახელმწიფო გადასახადების მსხვილი გადამხდელი. საანგარიშო წელს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილია 9 832 978 ლარი, საიდანაც 1 255 877 ლარი საბიუჯეტო სახსრებია.

უნივერსიტეტის მიერ 2023 წლის განმავლობაში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 510 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 10 412 828 ლარი, 1 600 ა.შ.შ. დოლარი, 20 250 ევრო. მათ შორის:

ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმდა 129 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 9 141 204 ლარი. ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად მიღებული ეკონომიის ჯამმა შეადგინა 686 265 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შედეგად, გაფორმდა 358 ხელშეკრულება, საერთო თანხით 829 549 ლარი, 1600 ა.შ.შ. დოლარი, 20250 ევრო.

კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა 23 ხელშეკრულება საერთო თანხით 442 075 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, გამოცემულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს 3 დადგენილება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 8 განკარგულება, სადაც ასახულ იქნა, როგორც საბიუჯეტო მაჩვენებლების, ასევე ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები. განკარგულებით ასახული საბიუჯეტო ზრდის მაჩვენებლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 9 604 069 ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ზრდა შეადგენს 1 411 674 ლარს, საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტების ზრდა- 2 624 733 ლარს, ხოლო საკუთარი სახსრების ზრდა-5 567 662 ლარს, აქედან სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ზრდა შეადგენს 2 569 004 ლარს, სსიპ-„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-დან გადმოსაცემი თანხების ზრდა 1 993 040 ლარს, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების თანხებია. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებამ შეადგინა 150 185 ლარი, ხოლო პროგრამებს შორის განხორციელებულმა ცვლილებამ - 138 015 ლარი, რაც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სენატის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულ პროგრამებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განსახორციელებელ ცვლილებათა დადგენილ ქვოტას.